



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 10

2018 წელი 19 თებერვალი

ქ.ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, დასახლება კახაბერში მდებარე მიწის ნაკვეთის სერვიტუტით დატვირთვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას მოახდინოს ქ. ბათუმში, დასახლება კახაბერში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილის, კერძოდ 18 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.32.07.655) სერვიტუტით შ.პ.ს. „მოდუსი“-ს სასარგებლოდ, ორი წლის ვადით, წარმოდგენილი აზომვითი ნახაზის შესაბამისად.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნადიმ ვარშანიძე